ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 209

26 აპრილი
"---" ---------- 2024 წ.

ქ. თბილისი

"ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ"
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის №2466 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 03 აპრილის №24.564.642 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის №2466 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

განკარგულება - N 24.564.642
3 / აპრილი / 2024 წ.

„ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის N2466 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ

,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის სხვაგვარად შეუძლებელია გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტების დადგენა, აგრეთვე ამ წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იმავე დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახური და ამზადებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს:

ა) I ეტაპი _ განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) II ეტაპი _ განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული წესების საფუძველზე, ''ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების

შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის N2466 განკარგულებით შეთანხმებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 1 აპრილის N0124092905-67 (N01240922814-67) განცხადებით მიმართა სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი მაზიაშვილმა (პ/ნ 01024001201) და მოითხოვა ''ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის N2466 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის გაუქმება. ვინაიდან, დაინტერესებული პირის განმარტებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.007) იგეგმება სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრისა და სათაო ოფისის განთავსება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, მოქმედი ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების თანახმად, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის N2466 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადება დასაშვებია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის N2466 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202